ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 350

“ _15_ ” _სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ლიბერთისთვის“ (ს/კ: 402038362) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ლიბერთისთვის“ (ს/კ: 402038362) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 6 სექტემბრის N33.05.645 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.16.05.026.024) 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ლიბერთისთვის“ (ს/კ: 402038362) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**